პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 191 (10277) | შაბათი, 13 აგვისტო, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲘᲐᲓ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ

ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲕᲧᲝᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XX ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲚᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲝᲑᲐ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა, რომელმაც სოციალისტური მრეწველობის ახალი მძლავრი აღმავლობის დიადი პროგრამა დასახა, მიიღო გადაწყვეტილება მომავალი წლის თებერვალში მოიწვიოს ჩვენი პარტიის მორიგი, XX ყრილობა.

პარტიის ყრილობის მოწვევა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში. საბჭოთა კავშირის მშრომელები ამ დიდ მოვლენასაც, ისე როგორც ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას, ახალი მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აქტივობით აღნიშნავენ.

ჩვენს თვალწინ ქვეყანაში მძლავრად აზვირთდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ტალღა. საბჭოთა ხალხის ეს პატრიოტული მოძრაობა, რომელიც სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე შემდგომ წარმატებათა საწინდარია, მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი მშრომელთა ღრმა სიყვარულის ახალი გამოხატულებაა.

პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები სათავეში უდგებიან მასების ამ შემოქმედებითს აქტივობას, მათს მთელ ძალასა და ენერგიას წარმართავენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა სწრაფად და განუხრელად შესრულებისათვის, რაზმავენ მშრომელებს წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვის, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის საბრძოლველად.

ჩვენი რესპუბლიკის შახტებსა და მაღაროებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, ტრანსპორტსა და ახალმშენებლობებზე მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები ავლინებენ და იყენებენ ახალ რეზერვებს გადიდებულ საწარმოო ვალდებულებათა გასანაღდებლად.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი, რომელმაც მიმდინარე წლის შვიდ თვეში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა, ერთსულოვნად დადგა XX ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე. მძიმეწონასანთა მოძრაობის ფართოდ გაჩაღებით, ნოვატორთა მოღწევების პოპულარიზაციით, შეჯიბრების სწორი ორგანიზაციითა და მასში კოლექტივის თვითეული წევრის აქტიური მონაწილეობით მეორთქლმავლეებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ტვირთნიდვის 7 თვის დავალება, ასობით მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანეს და გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაზიდეს. ამას წინათ დეპოელებმა ახალი ვალდებულებები აიღეს: ყრილობის გახსნის დღისათვის გეგმის გადამეტებით აწვითი შეკეთებიდან გამოუშვან 4 ორთქლმავალი, ხოლო გარეცხვითი შეკეთებიდან — 40 ორთქლმავალი, საგრძნობლად შეამცირონ ლოკომოტივების სარემონტოდ დგომის დრო, რემონტთაშორის გარბენა ნორმით გათვალისწინებული 70 ათასი კილომეტრის ნაცვლად აიყვანონ 125 ათას კილომეტრამდე, გასწიონ 7 პროცენტი სათბობის ეკონომია.

საქართველოს მოწინავე საწარმოო კოლექტივებს თავიანთი ხმა შეუერთეს ქუთაისელმა ფეიქრებმა. აბრეშუმსაქსოვი კომბინატის კოლექტივმა, რომელიც აღფრთოვანებით შეხვდა ივლისის პლენუმის დადგენილებებს, გადაწყვიტა აბრეშუმის ხამი ქსოვილის გამოშვების წლიური დავალება 20 დეკემბრისათვის შეასრულოს და გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს 470 ათასი მეტრი ქსოვილი, შარშანდელთან შედარებით 9 პროცენტით აამაღლოს შრომის ნაყოფიერება და 4 პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება.

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲢᲔᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

„იზვესტიის“ გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოუშვა სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის სტენოგრაფიული ანგარიში.

„იზვესტიის“ გამომცემლობა სტენოგრაფიულ ანგარიშს უშვებს აგრეთვე უკრაინულ, ბელორუსულ, უზბეკურ, ყაზახურ, ქართულ, აზერბაიჯანულ, ლიტვურ, მოლდავურ, ლატვიურ, ყირგიზულ, ტაჯიკურ, სომხურ, თურქმენულ, ესტონურ, ფინურ, თათრულ, ბაშკირულ და ყუმუხურ ენებზე.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ

სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკამ წიგნის გამოფენა გახსნა რუსეთის პირველი რევოლუციის 50-ე წლისთავისათვის. აქ წარმოდგენილი მასალები — ვ. ი. ლენინის შრომები, ხოლშევიკური გაზეთების ნომრები, ფოტოსურათები და დიაგრამები მოგვითხრობენ, თუ როგორ ვითარდებოდა რევოლუციური მოძრაობა რუსეთში 1905 წელს. გამოფენას პერიოდულად ავსებენ. ახლა ექსპოზიციის ძირითადი ნაწილი მიძღვნილია რსდმპ მესამე ყრილობისადმი.

პირველი აგვისტოდან გამოფენა შეავსეს ახალი სტენდებით, რომლებიც აშუქებენ ვ. ი. ლენინის წიგნის — „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“ მნიშვნელობას. წიგნის თაროზეა პირველი გამოცემის პირი. იგი გამოვიდა ჟენევაში ნახევარი საუკუნის წინათ. იქვეა წიგნის შემდეგი გამოცემები და ლენინის სხვა ნაწარმოებნი, კერძოდ, „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“. წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის მეორე გამოცემა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ— სტალინის ინსტიტუტის თეზისები „რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავი“.

მეორე სტენდის მასალები გვიჩვენებენ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის წიგნს „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“. ვიტრინის მინის ქვეშ არის გამოცემები თექვსმეტი მოკავშირე რესპუბლიკის ხალხთა ენებზე, აგრეთვე ჩინურ, პოლონურ, ჩეხურ, ბულგარულ, უნგრულ, რუმინულ, მონღოლურ, ალბანურ, კორეულ, გერმანულ ენებზე.

(საკდესი).

ᲡᲐᲐᲕᲭᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲝᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲝᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

მინსკი, 11 აგვისტო. (საკდესი). დღეს აქ მუშაობა დაამთავრა საავტომობილო მრეწველობის საწარმოების რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა სრულიად საკავშირო თათბირმა. თათბირში მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის საავტომობილო და მანქანათმშენებელი ქარხნების 600-ზე მეტი მუშა, ინჟინერი და ტექნიკოსი. საავტომობილო მრეწველობის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან; მოხსენება გააკეთა საავტომობილო მრეწველობის მთავარი სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსმა ვ. მ. მიშანდინმა.

მომხსენებელი და კამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ რაციონალიზატორებთან და გამომგონებლებთან მუშაობა ყველგან როდი მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. ხშირად მუშების წინადადებებს დიდ ხანს არ ნერგავენ წარმოებაში. სუსტად არის მოწყობილი ტექნიკური გამოცდილების გაცვლა. საწარმოთა ხელმძღვანელები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ამ საკითხებს.

მიღებულია დადგენილება, რომლის მიზანია ჩვენი ქვეყნის საავტომობილო მრეწველობის რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება.



მოსკოვი. მდინარე მოსკოვის ხედი კრემლის ივანე დიდის სამრეკლოდან.
ფოტო ა. სერგეევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲙᲘᲠᲝᲕᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲝᲚᲥᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲛᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲙᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ

ᲝᲚᲥᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲘᲙᲘᲡᲠᲔᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲩᲐᲐᲑᲐᲠᲝᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ 11,3 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲤᲣᲗᲘ ᲙᲣᲠᲘ

ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს მარცვლეულის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ და ემზადებიან რა ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას, კიროვოგრადის ოლქის კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა მიმდინარე წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი მოიყვანეს და ვადამდე შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა (გარდა სიმინდისა). სახელმწიფოს ჩაბარდა 32,1 მილიონი ფუთი მარცვლეული, მათ შორის 30,3 მილიონი ფუთი ხორბალი. სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება გრძელდება.

ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გამოიანგარიშეს თავიანთი შესაძლებლობანი და ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩაბარონ სახელმწიფოს 11,3 მილიონი ფუთი მარცვლეული. სულ სახელმწიფოს ჩაბარდება 1955 წლის მოსავლის სულ ცოტა 46,5 მილიონი ფუთი, ანუ 3,1 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე სახელმწიფოს ჩაბარდა პური ყველაზე მოსავლიან 1952 წელს.

ოლქის მინდვრებში მწიფდება მზესუმზირას კარგი მოსავალი, რითაც შესაძლებელი გახდება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდეს სახელმწიფოსათვის ზეთოვანი კულტურების ჩაბარების გეგმა.

ოლქის კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები ამთავრებენ მარცვლეული კულტურების აღებას, გაძლიერებით ემზადებიან სიმინდის, ფეტვის, შაქრის ჭარხლისა და სხვა საგვიანო კულტურების აღებისათვის და ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ვადამდე შეასრულონ სახელმწიფოსათვის ამ კულტურების ჩაბარების გეგმა.

ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაადიდეს სიმინდის ნათესი, სავსებით უზრუნველყოფენ მეცხოველეობას წვნიანი და კონცენტრირებული საკვებით და მუშაობენ საკვების ორი წლის მარაგის შესაქმნელად.

ოლქში საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმის შესასრულებლად და მისი პროდუქტიულობის გასაადიდებლად. 1954 წლის ოქტომბრიდან 1955 წლის აგვისტომდე მოწველილია 47,8 ათასი ტონით მეტი რძე, ვიდრე 1953-1954 წლების იმავე ხანში. 1955 წლის 1 აგვისტოსათვის სახელმწიფოს ჩაბარდა 43,6 ათასი ტონით მეტი რძე, ვიდრე შარშან ამავე თარიღისათვის.

ზრუნავენ რა მომავალი წლის მოსავლისათვის, ოლქის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მთლიანად მოიმარაგეს საშემოდგომო და საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესლი და ემზადებიან საშემოდგომო კულტურების თესვისათვის, რათა მოკლე აგროტექნიკურ ვადებში მოაწყონ თესვა და მთლიანად შეასრულონ მზრალად ხვნის გეგმა.

ᲙᲐᲨᲮᲐᲚᲛᲐ ᲨᲐᲠᲓᲐᲮᲘᲓᲐ ᲕᲝᲚᲒᲘᲡ ᲙᲐᲜᲐᲚᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

დაბა კომსომოლსკი (კუიბაშევის ოლქი), 11 აგვისტო. (საკდესი). დღეს ჰიდრომექანიზატორებმა დამთავრეს ვოლგის მარცხენა ტოტის გადახიდვა. ნახევარი კილომეტრის სისქის ქვიშის ისარა აღიმართა წყალზე და სანაჯეგროდ და მეტად შეამჭიდროვა მდინარის კალაპოტი. მიწის ზვინულმა გზა გადაუჭრა წყალს ტელიაჩის კუნძულიდან, ვოლგის მარცხენა ნაპირთან, სამაგირო გზის კალაპოტის საყრდენამდე — ბეტონის კლდემდე მდინარეში ჰიდროელექტროსადგურის ქვაბულის ზღუდარის პირდაპირ.

ადიდებული ვოლგისათვის მშენებლებმა დატოვეს უკანასკნელი გასასველი — ეგრეთწოდებული მარჯვენა ტოტი, რომლის სიგანეა 350 მეტრი.

კალაპოტის ,ამშალის მარცხენა ფერთაში მიწისმწოვი მანქანების საშუალებით ჩაყრილია სამი მილიონი კუბური მეტრი გრუნტი. ჰიდრომექანიზატორთა შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება სამუშაოთა ვადამდე დამთავრებისათვის.

ᲜᲐᲠᲕᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲒᲝᲠᲪᲘᲚᲘᲐ

ნარვა, 11 აგვისტო. (საკდესი). დღეს ნარვის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სათავო კვანძზე დამთავრდა წყალმიმღების — უზარმაზარი ძაბრის დატბორვა, რომლის ფართობი 30 ათას კვადრატულ მეტრს უდრის. შანდორით — დიდი ხის ღარით, რომელიც ჩადგმულია გადამღობ ზღუდარში, რათა წყალმიმღები დაიცვას მიწის ჩარეცხისაგან, მან ორი დღეღამის განმავლობაში მიიღო ასი ათას კუბურ მეტრზე მეტი წყალი.

ახლა ბობოქარი ნარვის წყალს აკავებენ მხოლოდ მცირე კაშხალის გიგანტური საკეტი ფარები, რომლებსაც მომსახურების უწევს 75-ტონიანი ამწე. მესამე უბნის მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს 1 სექტემბრისათვის ნარვის წყალი გაუშვან ჰიდროელსადგურის ტურბინებთან 2,5-კილომეტრიან მიმყვან არხში.

წყალმიმღები ნაგებობის შესასველელთან მძლავრი ექსკავატორი, რომელსაც მართავს საუკეთესო მექანიკოსი ტორე ე. მიხაილოვი, შეუდგა მიწის ზღუდარის დაშლას.

საფეიქრო კომბინატ „კრენგოლმის მანუფაქტურის“ მახლობლად წყალსაშვები კაშხალის მშენებლობაზე ფ. ადიატულინის მბურღავთა ბრიგადა მუშაობს მდინარის ფსკერიდან კლდის ამოღებაზე მეორე, უკანასკნელი რიგის კაშხალის შემოღობილ ქვაბულში.

5.000 ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲢᲘ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲕᲘ

ყაზანი, 10 აგვისტო. (საკდესი). დღეს რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყაზანის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა შეასრულა სოფლის მექანიზატორთა დიდმნიშვნელოვანი დაკვეთა. საწარმომ თვის განმავლობაში გამოუშვა ხუთი ათასი კომპლექტი სიმინდის საკუთარი — „რკს-12“ მარკის ტრაქტორის სილოსსაჭრელის სამარჯვები. ამ სამარჯვით აქუცმაცებენ რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სიმინდის ტაროებს მათი ცალკე დასილოსების წინ.

ორი ათასი კომპლექტი სიმინდის საკუთარი გაიგზავნა უუბანში, სტავროპოლის მხარესა და ამიერკავკასიაში.

ᲧᲐᲛᲘᲠᲘ ᲛᲘᲬᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲡᲘᲕᲔᲑᲘ

ხაბაროვსკი, 11 აგვისტო. (საკდესი). სამ თვეზე მეტია, რაც სპეციალისტთა 34 კომპლექსური ბრიგადა ავლინებდა მიწის მასივებს, რომელთა ათვისებაც შეუძლიათ მხარის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. მუშაობა წარმოებდა ებრაელთა ავტონომიური ოლქის, ქვემო ამურის, კამჩატკის ოლქებისა და სამხარეო დაქვემდებარების რაიონთა ტერიტორიაზე. ახალი, სახნავად ვარგისი მიწების გამოსახვის დავალება შესრულებულია გადამეტებით: გამოვლენილია 600 ათას ჰექტარზე მეტი ყამირი და ნასვენი მიწები.

ᲬᲘ�გᲜᲘ Ა. Մ. ᲒᲝᲠᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

გორკი, 11 აგვისტო. (საკდესი). ადგილობრივმა გამომცემლობამ გამოსცა წიგნი „წარსულის ფურცლები“, რომელიც დაწერილია ა. მ. გორკისა და კაშირინთა გვარის შესახებ არსებული დოკუმენტებისა და მოგონებების მიხედვით. წიგნის ავტორია გორკის თანამედროვე ა. მ. გორკის მუზეუმის — „კაშირინის სახლის“ შექმნის ინიციატორი ფ. პ. ხატროვსკი.

წიგნი მოგვითხრობს ა. მ. გორკის ცხოვრების ნიენი ნოვგოროდის პერიოდზე, მუზეუმ „კაშირინის სახლის“ შექმნისა და მისი რესტავრაციის ისტორიაზე. მოყვანილია დამთვალიერებელთა აზრები დიდი მწერლის ბავშვობის ამ მემორიალური მუზეუმის შესახებ

ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲗᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘ ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲐᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ

ექსკურსანტთა თვითეულ ჯგუფთან შინ გამგზავრების წინ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონებში ეწყობა დასკვნითი საუბრები. საუბრებს აწყობენ პავილიონების ექსკურსიამძღოლები და მეთოდისტები. ამ საუბრების დროს გამოფენის მუშაკები ეცნობიან, თუ რა სასარგებლო რამ მიიღეს ექსკურსანტებმა და როგორ ფიქრობენ ისინი დანერგონ მოწინავე მეთოდები თავიანთ მეურნეობაში, აძლევენ რჩევას, თუ როგორ გამოიყენონ უკეთ იგი პრაქტიკულად.

წარმოებს აგრეთვე ჩაწერა ექსკურსანტთა სურვილებისა გამოფენის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

10 აგვისტოს ჩრდილოეთ კავკასიის პავილიონში მეთოდისტმა ამხ. გრუზდევამ დასკვნითი საუბარი მოაწყო ექსკურსანტთა დიდ ჯგუფთან — სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობის მეცხოველეებთან და ხელმძღვანელ მუშაკებთან. სტავროპოლის რაიონის „დიდი კოლმეურნეობის „საბჭოების ქვეყნის“ თავმჯდომარემ ამხ. კრავეცმა განაცხადა, რომ მან გულდასმით შეისწავლა გამოფენაზე ნიადაგის დამუშავების მეთოდები, რომლებიც რეკომენდებულია კოლმეურნე მეცნიერის ტ. ს. მალცევის მიერ. სტავროპოლის მხარის პირობებში ამ მეთოდის გამოყენებამ შეიძლება ძალიან კარგი შედეგი გა^ოიღოს. კოლმეურნეობის მიწები მნიშვნელოვანწ�ბიცობიანია. ჩვეულებრივი ხვნისას ზედაპირზე ამოდის ქვედა, მარილიანი შრე, რაც ცუდ გავლენას ახდენს ნათესებზე. ტ. ს. მალცევის მეთოდით დამუშავებისას კი ეს არ ხდება. გარდა ამისა, ღრმა გაფხვიერება ხელს უწყობს ნიადაგში მეტი ტენის დაგროვებას, რასაც ვიალვიან ველებში ღრდესი მნიშვნელობა აქვს.

შარშან კოლმეურნეობამ ცდის სახით დათესა 300 ჰექტარი შეოდგომის კულტურები ღრმა ოფრთო ხვნის წესით. ამ ნაკვეთზე თავთავიანმა კულტურებმა წელს ერთიორად-ერთისამად მეტი მოსავალი მოგვცეს, ვიდრე ჩვეულებრივი წესით დამუშავებულ უანბრში. ეს მოწმობს, რომ საჭიროა უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ბიცობი“ ნიადაგში მალცევის აგროტექნიკა. მაგრამ ამისათვის საჭიროა ახლავე ეზრუნოთ, რომ სტავროპოლის მხარის მტს-ებში შეიზიდოს ტ. ს. მალცევის კონსტრუქციის გუთნები და სხვა ნიადაგისდასამუშავებელი იარაღები. ამხ. კრავეცმა აგრეთვე გადაწყვიტა მოაწყოს კოლმეურნეობაში მწვანე კონვეიერი, გაიფართოოს იონჯის, კაპუტისა და სუდანურის ნათესები.

ნოვო-ალექსანდროვსკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარე ბრიგადირმა ამხ. შევჩენკომ განაცხადა, რომ მან გამოფენის მონაწილე მეცხვარეთა გამოცდილების საფუძველზე გადაწყვიტა გამოიყენოს სადრეო დოლი. ამ წინადადებას იგი განსახილველად წარუდგენს კოლმეურნეობის გამგეობას და ფიქრობს, რომ მას მიიღებენ.

მომავლის დიდი ახალი გეგმებით ბრუნდება შინ სტეპნოეს რაიონის ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ა რ ტ ე ლ ი ს თავმჯდომარე ამხ. გონჩაროვი.

— ჩვენ, კაზაკებს, გვაქვს ანდაზა — იარაღს უყვარს გაზეთვა, პირუტყვს კი ალერსი, — თქვა ამხ. გონჩაროვმა. — და აი მეც დაწერილებით ავუხსნი ჩვენს მწვეოველებს, თუ როგორ შეიძლება პირუტყვის გულმოდგინე მოვლით მკვეთრად გავადიდოთ წველადობა.

შავ მიწებზე საველე საძოვრების გასაუმჯობესებლად ამხ. გონჩაროვმა გადაწყვიტა გამგეობის წინაშე დააყენოს საკითხი, რომ მოიწყოს ბვავისა და მრავალწლიანი ბალახების თესვა ცხვრის მწვანე საკვებად. გარდა ამისა, ამხ. გონჩაროვი აპირებს მეზობელ კოლმეურნეობებს მიმართოს წინადადებით მოაწყონ ველებში და ცხვრის გადარეკვის გზაზე ბეების კოლექტიური მშენებლობა პირუტყვის დასარწყულებლად.

სტავროპოლელი მეცხოველეები აგრეთვე აცხადებდნენ, რომ ისინი დაიწყებენ ნაკვეთმორიგებობითი ძოვების დანერგვას, ფართოდ შემოიღებენ პრაქტიკაში ბალახისა და ბვავის გამოთესვას საძოვრებზე. სტეპნოეს რაიონის კოლმეურნეობა „პობედას“ თავმჯდომარემ ამხ. სვინარიოვმა წინადადება შეიტანა მოეწყოს ერთიანი სახელმწიფო ტრასი ცხვრის გადასაყვანად შავი მიწების ზამთრის საძოვრებზე და ითხოვა, რომ ეს საკითხი დაისვას სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროების წინაშე.

პავილიონებში ყველა დასკვნით საუბარზე ექსკურსანტები პირობას იძლევიან დაწერილებით გაცნონ გამოფენაზე შეძენილი მოწინავე გამოცდილება თავიანთი მეურნეობების მუშაკებს.

(საკდესი).

პარტიული ცხოვრება

ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის ბრძოლაში

ტყიბულში მოწინავეა სტალინის სახელობის შახტი. ერთ წელზე მეტია ამ შახტის საექსპლოატაციო უბნებს შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი მეხუთე უბანს უჭირავს. წელს მეხუთეუბნელებმა სამჯერ მოიპოვეს პირველობა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში უბნის კოლექტივმა შრომის ნაყოფიერება 17,9 პროცენტით გაზარდა, გეგმის გადამეტებით 6.800 ტონა ქვანახშირი ამოიღო და ქვეყანას 155.512 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მისცა.

ამ წარმატებათა ორგანიზატორია საუბნო პარტიული ორგანიზაცია, მეშახტე კომუნისტები. საუბნო პარტორგანიზაცია უნარიანად ახორციელებს კონტროლს სამეურნეო საქმიანობისადმი.

გასული წლის მესამე კვარტალის დასაწყისში უბანი ჩამორჩა, მკვეთრად შემცირდა ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება, გაიზარდა ტონა ქვანახშირის თვითღირებულება. კომუნისტები დაუყოვნებლივ გამოეხმაურენ ამ მდგომარეობას. გამოიყო კომისია პარტორგანიზაციის მდივნის ს. ცირეკიძის ხელმძღვანელობით. გამოირკვა, რომ ქვანახშირის ამოღების შემცირების ძირითადი მიზეზი სამთო მოსამზადებელ სამუშაოთა ჩამორჩენა იყო. გარდა ამისა, ქვანახშირის ამოღების ზრდას ხელს უშლიდა სამთო მექანიზმების ცუდი მუშაობა და შრომის მოუწყობლობა.

საკითხი საუბნო პარტიული ორგანიზაციის კრების მსჯელობის საგანი გახდა. კომუნისტებმა აღნიშნეს, რომ უბანში ნაკლები ყურადღება ექცეოდა ლავების მომზადებას, მოუქნელად მუშაობდა საუბნო ტრანსპორტი.

გამომჟღავნებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად დაისახა პრაქტიკული ღონისძიებანი. უბნის მთელი კოლექტივის საქმიანობა წარიმართა სამთო მოსამზადებელ სამუშაოთა გასაძლიერებლად. დაკომპლექტდა გამყვანთა ბრიგადა 7 კაცის შემადგენლობით. ბრიგადაში შეყვანილ იქნენ გათხრის წარჩინებული ოსტატები გ. დიაკონიძე, გ. სოხაძე და სხვები. ბრიგადას დაევალა ორი კვირის ვადაში გაეყვანა ოთხი აღმავალი სამთო გამონამუშევარი და სათადარიგო ხილეკი. კრების დადგენილებით ქვანახშირის ჩამოსაშვები შუროს გაფართოება და წესრიგში მოყვანა დაეკისრა ძველი მეშახტის, კომუნისტ კ. კორძაძის მებიგეთა ბრიგადას. უბნის მექანიკოსებს დაევალათ ქვანახშირის მომზვეტი ტრანსპორტიორის წესრიგზე მოყვანა. მთავარი ყურადღება მიექცა აგრეთვე შიდასაუბნო გზების შეკეთებას, საშახტო ვაგონების მიმოქცევის დაჩქარებას.

საჭირო იყო უბნის კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანების თვითეული მეშახტისათვის გაცნობა. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულეს აგიტატორებმა. ისინი შახტში ჩასვლის წინ მეშახტეებს ესაუბრებოდნენ უბნის მდგომარეობაზე, აცნობდნენ განვლილი მუშაობის შედეგებს. სისტემატურად გამოდიოდა ფურცელი „ელვა“. პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის ფართოდ გაშლამ კარგი შედეგი გამოიღო. კრების მიერ დასახული ღონისძიებანი წარმატებით განხორციელდა: გადიდდა მიწისქვეშა სამუშაოთა ფრონტი, გაიხსნა ახალი ლავები, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია. უბნის ყველა ცვლამ და ბრიგადამ რიტმული მუშაობა დიწყო. მას შემდეგ უბანი გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს.

საუბნო პარტიული ორგანიზაცია მიღწეულით როდი კმაყოფილდება. იგი შეუნელებელ ყურადღებას აქცევს შიდარეზერვების გამოვლინებას, ახალი ტექნიკის დანერგვას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

ამ ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას. უბნის მეორე ველის ქვედა ჰორიზონტებზე სამაგრი მასალის ჩაშვებას პრიმიტიული წესით აწარმოებდნენ, რასაც დიდძალი მუშახელი და ზევრი დრო სჭირდებოდა. სამაგრი მასალის მექანიზებული მიწოდების საკითხი უბნის კომუნისტებმა შახტის პარტბიუროში დააყენეს. პარტბიურომ ყურადღებით შეისწავლა კომუნისტთა ეს წინადადება და მიიღო ზომები მისი განხორციელებისათვის. მოკლე ხანში კომუნისტმა მექანიკოსმა შ. კაკაბაძემ დაამონტაჟა ჯალამბარი, რამაც მთლიანად შეცვალა სამაგრი მასალის ხელით მიწოდება.

პარტიული ორგანიზაცია წარმატებით წყვეტს ქვანახშირის ამოღების გადიდებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. მიმდინარე წლის მარტში კომუნისტებმა პარტიულ კრებაზე იმსჯელეს შრომის დისციპლინის შესახებ, ხოლო აპრილში — უბანში ტექნიკური უსაშიშრობის წესების დაცვის მდგომარეობაზე. დასახულ ღონისძიებათა პრაქტიკულად განხორციელების შედეგად განმტკიცდა შრომის დისციპლინა, იკლო გაცდენისა და სამუშაოზე დაგვიანების შემთხვევებმა, მეტი ყურადღება მიექცა ტექნიკური უსაშიშრობის წესების ზუსტად დაცვას.

საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში კომუნისტები და კომკავშირელები არიან. ცვლა, რომელსაც კომუნისტები გ. მაწკეპლაძე და რ. ცომაია ხელმძღვანელობენ, ყველაზე მოწინავეა უბანში.

ამ დღეებში უბანში მძლავრი შრომითი აღმავლობაა. კომუნისტები დიდი ინტერესით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. მათ გულდასმით შეისწავლეს უბნის ეკონომიკა. გამოირკვა, რომ ჯერ კიდევ ბევრია გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობანი ქვანახშირის ამოღების გასაადიდებლად. უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები ამ რეზერვების გამოსავლინებლად. ახალი ძალით გაჩაღდა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება. საუბნო პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურად აძლიერებს ბრძოლას მძიმე მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგის — ქვანახშირის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, მეტი და მაღალხარისხოვანი სათბობის მოპოვებისათვის.

ვ. ცირეკიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



ტყიბული. სურათზე: ქვანახშირის მორიგი ეშელონი ლენინის სახელობის შახტიდან. ეშელონი მოჰყავს საშახტო ელმავლის მემანქანეს დ. მხალაძეს.

ფოტო შ. გოკაძისა.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად

პროდუქციას სექტემბრის ანგარიშში იძლევიან

ჰიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს კოლექტივი ჩაება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებით იბრძვის წლიური გეგმის ორი თვით ადრე შესრულებისათვის.

სახელოსნოს კოლექტივმა 25 ივლისისათვის გადაჭარბებით გაანაღდა პროდუქციის გამოშვების რვა თვის დავალება და ახლა სექტემბრის ანგარიშში იძლევა პროდუქციას.

თავდადებულად მუშაობენ მექანიკური, სამსხმელო და ელექტროსაამქროს კოლექტივები, რომლებიც დავალებებს 115-120 პროცენტით ასრულებენ. აქ გონივრულად იყენებენ შიდასაწარმოო რეზერვებს, სრული წარმადობით ამუშავებენ მექანიზმებს. მექანიკური საამქროში შემოიღეს ჩარხების გეგმიანი რემონტი, რითაც სახარატო და სარანდავი ჩარხების წარმადობა 5-10 პროცენტით გაიზარდა.

სახელოსნოს ნოვატორი და ჩქაროსანი ხარატები პ. ბარაბაძე, კ. მეგრელიშვილი, ზეინკლები ე. ვარდოსანიძე, ა. სირაძე, რ. ბროლაშვილი და სხვ. ყოველდღიურ გეგმებს ორმაგად — სამმაგად ასრულებენ. მარტო მიმდინარე წლის ექვს თვეში მათ წლინახევრის გეგმა შეასრულეს და პროდუქციას 1960 წლის ანგარიშში იძლევიან. თავდადებით შრომობენ აგრეთვე ფოლადის სამსხმელო საამქროს მოწინავე ადამიანები ხ. ჯაჯანიძე, ი. ყიფშიძე, ნ. მოღლებაძე და სხვები.

შრომითს ვახვზე

რკინიგზის გურჯაანის სალიანდაგო დისტანციის კოლექტივმა გააჩაღა მზადება პარტიის XX ყრილობის შესახვედრად და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ბორჯომის სალიანდაგო დისტანციის მუშაკები. გურჯაანელები შრომითს ვახტზე დადგნენ. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში თავი ისახელეს დურგალმა ვ. გოგიტიძემ, კალატოზმა ზ. ბატიაშვილმა, მჭედლმა დ. კურკატაშვილმა, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად ასრულებენ.

გურჯაანელი რკინიგზელები იმისათვის იბრძვიან, რომ წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულონ.

თ. გოგიაშვილი.

საკლესიო ცნობა

უკანასკნელი დროის ფაქტები, და განსაკუთრებით ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგები, მოწმობენ, რომ მიღწეულია საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობის ერთგვარი შენელება.

საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და სახელმწიფოთა შორის ნდობის დამყარების მიზნით, საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება — 1955 წლის 15-დეკემბრისათვის საბჭოთა არმიის, საზღვაო ფლოტის მოიარაღებული ძალების რიცხვი შემციროს 640.000 კაცით.

არმიისა და ფლოტის რიგებიდან დათხოვნილი შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოთი საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

პრესის მიმოხილვა

განვაზოგადოთ მოწინავეთა გამოცდილება

მდიდარია სოფელი ლაშე. შეძლებულად და კულტურულად ცხოვრობენ აქაური კოლმეურნეები. ისინი თავდადებით იბრძვიან ძმობლიური ყოლმეურნეობის ეკონომიკის განუხრელი ზრდისათვის. ყურძნის უხვი მოსავლისათვის, წველადობის, კვერცხმდებლობის მკვეთრი გადიდებისათვის, ფულადი შემოსავლის ზრდისა და სხვა კარგი მაჩვენებლების მოპოვებისათვის ლაშის კოლმეურნეობა წელს მონაწილეობას იღებს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

ამ კოლმეურნეობის ცხოვრებას ფართოდ ასახავს ორჯონიკიძის რაიონული გაზეთი „ლენინის დროშით“. მოწინავე მწველავი ალექსანდრა მაჭავარიანი, რომელიც გამოფენიდან ახლახან დაბრუნდა, გაზეთის ფურცლებზე რაიონის მშრომელებს მოუთხრობს თავის მდიდარ შთაბეჭდილებებს, იმას, რაც გამოფენაზე ნახა და შეიძინა. ამასთან წერილში ლაპარაკობს საკუთარ გამოცდილებაზე, მომავალ პერსპექტივებზე.

— მეცხოველეობის პავილიონში, — წერს იგი, — წარმოდგენილია ჩვენს ქვეყანაში გავრცელებული საუკეთესო ჯიშის ძროხები, რომელთა დღიური წველადობა 30-35 კილოგრამს აღწევს, ე. ი. ლაქტაციის პერიოდში 6.000-დან 13.740 კილოგრამს. იქვე წარმოდგენილია ბუღა მწარმოებელი, ღორები, ცხვრები, ქათმები და სხვ., რაც ექსკურსანტებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. მე, როგორც მწველავი, გულდასმით ვაკვირდებოდი და უბის წიგნაკში ვინიშნავდი ძროხების, ნამატის მოვლა-პატრონობის წესებს, ჩვენს კოლმეურნეობაში მისი დანერგვის მიზნით.

გაზეთმა „ლენინის დროშამ“ 14 ივლისის ნომერში მთელი გვერდი დაუთმო გამოფენიდან დაბრუნებულ ექსკურსანტთა ნამბობს. ისინი მკითხველებს უზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებებს, აცნობენ მომავლის გეგმებს, კისრულობენ ვალდებულებებს გამოფენაზე შეძენილი ცოდნის ფართოდ გავრცელებისა და დანერგვისათვის. სოფელ საღანძილის ბუღიონის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მწველავი ა. ქაეთარია ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ გამოიყენებს გამოფენაზე შეძენილ ცოდნას.

მისასალმებელია, რომ გაზეთმა დაიწყო მასალების გამოქვეყნება რუბრიკით „სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი“. ამ რუბრიკით გაზეთში მოთავსებულია წერილი მოწინავე ბრიგადირის, ორგზის ლენინის ორდენოსან პეტრე კაპანაძის შესახებ. როგორც გახეთი წერს, პ. კაპანაძე ჯერ 15 წელია მევენახეობაში მუშაობს. მისმა ბრიგადამ გასულ წელს 14,11 ჰექტარი ახმეტიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე 100,2 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, რითაც გამოფენაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. წერილში მოთხრობილია მოწინავე ბრიგადის შუშაობის ეთოდებზე, რომლებითაც მას ყურძნის უხვი მოსავალი მოჰყავს. ასეთი მასალების გამოქვეყნებით გაზეთი კარგ საქმეს აკეთებს.

სოფელ კიცის საშუალო სკოლის ნორჩ ნატურალისტთა და ნორჩ ტექნიკოსთა წრეები სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი არიან. გაზეთმა ამ სკოლის ნორჩ ნატურალისტთა საქმიანობას მიუძღვნა სპეციალური გვერდი, რომელშიც ლაპარაკია მათს მუშაობაზე, მიღწევებზე. წერილში „განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატებები“ სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი, ნორჩ ნატურალისტთა წრის ხელმძღვანელი ი. დუგლაძე აღნიშნავს, რომ წრეში გაერთიანებულია 58 მოსწავლე, შემნილია მევენახეობის, მეთუთეობის, მეფუტკრეობის, მებოსტნეობის, მემინდვრეობის ჯგუფები. სკოლას აქვს 2.500 კვადრატული მეტრი მსხმოიარე ვენახი, რომელსაც გულმოდგინედ უვლიან მევენახეთა ჯგუფის წევრები. გასულ წელს მათ ვენახის გასანოყიერებლად პირველად გამოიყენეს ყურძნის ნარჩენი (ჭაჭა), რაც წლების მანძილზე დიდი რაოდენობით გროვდებოდა კიცხის ღვინის ქარხანაში. ამით დიდად გაუმჯობესდა ნიადაგის ფიზიკური თვისებები. ნორჩი ნატურალისტების ეს გამოცდილება ფართოდ გამოიყენეს კიცხელმა კოლმეურნეებმა. ამასთან ერთად სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებით ნორჩმა ნატურალისტებმა აღნიშნული ნაკვეთზე 32 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, რაც ჰექტარზე გადაყვანით 128 ცენტნერს უდრის. დუგლაძის წერილში ბევრი საინტერესო მაგალითია მოყვანილი, თუ რა წარმატებებს მიაღწიეს სიმინდის მოყვანაში, მებოსტნეობაში, მეთუთეობაში.

გაზეთმა კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს ამ მიმართულებით მუშაობა, კონკრეტულად უჩვენოს ის, თუ პრაქტიკულად როგორ იყენებენ გამოფენის მონაწილენი იქ შეძენილ ცოდნას, იზრუნოს იმისათვის, რომ მოწინავეთა მიღწევები და გამოცდილება რაიონის ყველა კოლმეურნის ქონებად ექცეს.

მშენებლებმა უნდა გარდაქმნან მუშაობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა ახალი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დააყენა არა მარტო ჩვენი მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკების, არამედ ჩვენი მშენებლების წინაშეც.

ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის გაძლიერების, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელების, კომპლექსური მექანიზაციის განხორციელების საჭიროება ყველაზე მეტად სწორედ სამშენებლო ობიექტებზე იგრძნობა. პლენუმის დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ „მრეწველობაში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში ჯერ კიდევ არ არის საკმარისი საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე“.

ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სახალხო მეურნეობის არც ერთი დარგი, სადაც მშენებლობა უაღრესად ფართო მასშტაბით არ იყოს გაჩაღებული.

საქართველოს სახალხო მეურნეობაში კაპიტალდაბანდებათა თანხა ამჟამად 1940 წლის დონესთან შედარებით გადიდებულია 2,5-ჯერ. 1945 წლიდან 1955 წლის დასაწყისამდე ჩვენს რესპუბლიკაში ამუშავდა ასზე მეტი დიდი სამრეწველო საწარმო.

მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირმა, ხოლო შემდგომ საქართველოს მშენებელთა რესპუბლიკურმა თათბირმა, რომელიც წელს აპრილში შედგა, ახალი დიდი ამოცანები დასახეს ჩვენი მშენებლების შემდგომი განვითარებისათვის, სწრაფად, იაფად, მაღალხარისხოვნად მუშაობის მტკიცედ დანერგვისათვის.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ამ ამოცანებს ჩვენი მშენებლები ვერ ასრულებენ ისე, როგორც საჭიროა.

რკინაბეტონის კონსტრუქციების შესახებ

მშენებლობაში რკინაბეტონის კონსტრუქციების ფართოდ გამოყენებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცევ-ს

მჯკიცე საკვები ბაზა საზოგადოებრივ მეცხოველეობას!

კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს და ენერგიულად მუშაობენ, რათა ღირსეულად შეხვდნენ პარტიის XX ყრილობას. სკკპ XX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიურად ჩაებნენ თელავის რაიონის კოლმეურნეები და მექანიზატორები. თელავის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა გადაწყვიტეს დიდი რაოდენობით მოამზადონ საკვები პირუტყვისათვის. მათ დაიწყეს სიმინდის დასილოსება.

კოლმეურნეობებს სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაში დიდ დახმარებას უწევს თელავის მტს-ი. აქ წარმატებას იმით აღწევენ, რომ ხარკოველ და დნეპროპეტროვსკელ კოლმეურნეობათა მაგალითისამებრ მშენებლობაში ფართოდ იყენებენ ადგილობრივ საშენ მასალებს. კოლმეურნეობებს ეხმარებიან საშეფო ორგანიზაციები.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ამოცანაა ხელი შეუწყონ მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას და უზრუნველყონ ყველგან სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის უახლოეს დღეებში დამთავრება.

ქვემოთ ვბეჭდავთ მასალებს, რომლებშიც მოთხრობილია თელავის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში მოპირკეთებული სასილოსე ტრანშეების, ორმოების მშენებლობისა და სიმინდის დასილოსების შესახებ.



თელავის მტს-ის ზონის კოლმეურნეობები მტკიცე საკვებ ბაზას ქმნიან მეცხოველეობისათვის. სურათზე: სასილოსე ტრანშეების მოპირკეთება სოფელ იყალთოს კოლმეურნეობაში. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ტექნიკა კოლმეურნეობების სამსახურში

მექანიზატორთა და კოლმეურნეთა შრომითი თანამეგობრობის საფუძველზე წარმოებაში გაბედულად ვეერგავთ საბჭოთა აგრონომიული ეცნიერების მიღწევებს, მოწინავე გამოცდილებას, ახალ მეთოდებს, რომლებიც მოსავლიანობის გასაადიდებლად შეიმუშავეს სოფლის მეურნეობის ნოვატორებმა. თელავის მტს-ის მძლავრი სამანქანო ტექნიკა — ტრაქტორები, კომბაინები, სატრაქტორო გუთნები და სათესები, კულტივატორები ჩაყენებულია კოლმეურნეობების სამსახურში. ჩვენ გავეცანით ლაგოდეხელი კოლმეურნეებისა და მექანიზატორების ძვირფას გამოცდილებას — მეორე მოსავლის მისაღებად ნაწვერალზე სიმინდის თესვის პროგრესულ ღონისძიებას. ლაგოდეხელთა მაგალითისამებრ წელს 954 ჰექტარი სიმინდი დავთესეთ ნაწვერალზე. ამით მეცხოველეობას შევუქმნით საკვების დამატებით რეზერვს.

წინასწარ გაწეულმა ორგანიზაციულმა მუშაობამ კარგი შედეგი გამოიღო სიმინდის თესვისა და კულტივაციის პერიოდში. ბევრი სატრაქტორო ბრიგადა საუკეთესოდ დაეუფლა კვადრატულ-ბუდობრივად თესვის ტექნიკას. მტს-ის მექანიზმებით როგორც პირველი, ისე მეორე კულტივაცია მოეწყო 4.300 ჰექტარზე, გეგმა კი 3.000 ჰექტარს ითვალისწინებდა. ამან კოლმეურნეობებს გაუადვილა შრომა, გაუთავისუფლა მუშახელი, შესაძლებლობა მისცა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებამდე მოესწროთ სიმინდის ორჯერ თოხნა.

საწარმოო პროცესების გაუმჯობესებაში, კერძოდ, სიმინდის აღების მექანიზაციის დარგში, დიდი როლის შესრულება შეუძლია თვით მექანიზატორთა შემოქმედებითს ინიციატივასა და აქტივობას. დირექცია და პარტიული ორგანიზაცია მხარს უჭერენ ყოველ ახალ წამოწყებას, რომელიც მიზნად ისახავს რაციონალიზატორულ გაუმჯობესებას. სახელოსნოს გამგის ინჟინერ-მექანიზატორ მ. ვარდოსანიძისა და კომბაინერ მ. კალატოზიშვილის ინიციატივით დავიწყეთ უკვე მწყობრიდან გამოსული „კომუნარის“ მარკის კომბაინის გადაკეთება სილოსის ასაღებ კომბაინად. კონსტრუქცია არ არის რთული — სალეწი აპარატი გადაკეთდება მჭრელ აპარატად. სალეწ აპარატში დეკასა და დოლზე შტიფტი გავაბრტყელეთ და გაველესეთ, გამოვაცალეთ ვენტილატორები და პიკერები, დავაგრძელეთ ნამჯის ტრანსპორტიორი, რათა დაჭრილი მასა პირდაპირ გადავიდეს მასზე, აქედან კი ბუნკერში.

წინასწარი გამოანგარიშებით, კომბაინი ყოველდღიურად 8-10 ჰექტარზე აიღებს მწვანე მასას და დაჭრის.

იმისათვის, რომ თვითეული ძროხა უზრუნველყოთ სულ მცირე 5-6 ტონა წვნიანი საკვებით, მიზნად დავისახეთ დავასილოსოთ 10.000 ტონა სიმინდის ღერო და ფოთოლი. ეს სამჯერ მეტია შარშანდელზე. დავაკონსერვებთ სიმინდის ტაროს რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში. სილოსის დაჭრაზე იმუშავებს ორმოცამდე მანქანა. ახლახან კოლმეურნეობებმა მიიღეს სამი უნივერსალური სამსხვრევი მანქანა „დკუ-1, 2“, რომლებიც გადაკეთდება ტაროების დასაკუწად. უნდა დავაკონსერვოთ მხოლოდ დაკუწული ტარო, რადგან იგი კარგად იტკეპნება და ნაკლებად ფუჭდება.

კოლმეურნეობების განკარგულებაშია შარშანდელი 4.300 ტონის ტევადობის სასილოსე ორმოები. დამატებით კიდევ მოვაპირკეთეთ 3.400 ტონის ტევადობის ნაგებობანი. დიდი ყურადღებით გავეცანით ხარკოვისა და დნეპროპეტროვსკის ოლქების ნესანიშნავ გამოცდილებას სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის საქმეში.

ტრანშეების ამოღების უპირატესობა თვალსაჩინო გახდა პირველ დღეებშივე. მექანიზმებით გაადვილდა მიწის სამუშაოები, ამასთან იზოგება მასალა. თუ სასილოსე ორმოების მშენებლობა ერთ ტონა სილოსზე გადაყვანით კოლმეურნეობებს 197 მანეთი უჯდებოდათ, ტრანშეების გაჭრა და მოპირკეთება დაუჯდათ 108 მანეთი.

თელავის მტს-ის ზონის კოლმეურნეობები ყველაფერს გააკეთებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა უნაკლოდ განხორციელებისათვის, მტკიცე საკვებ ბაზას შეუქმნიან საზოგადოებრივ მეცხოველეობას.

ნ. ჩხეტია,
თელავის მტს-ის დირექტორი.

სიმინდის უხვი მოსავლისათვის

კოლმეურნეობის პერსპექტიული გეგმით დავსახეთ უაღრესად სერიოზული ამოცანა — წელს დავასილოსოთ 1.300 ტონა სიმინდის ღერო და ფოთოლი, ე. ი. თვითეული ძროხისათვის დავამზადოთ 10 ტონა წვნიანი საკვები, აგრეთვე დავაკონსერვოთ 500 ტონა დაქუცმაცებული ნედლი ტარო.

წელს გაზაფხულზე 174 ჰექტარი სიმინდი დავთესეთ, მათ შორის 100 ჰექტარი კვადრატულ-ბუდობრივად. თესვა დავიწყეთ აპრილის შუა რიცხვებში და დავამთავრეთ 4 მაისს.

თესვიდან სიმინდის შემოსვლამდე ჩვენს პირობებში გადის 4-4,5 თვე. საჭიროა ამ პერიოდში ნათესი იყოს ფხვიერ მდგომარეობაში, სარეველა ბალახებისაგან გაწმენდილი. საამისოდ ყველაზე ეფექტიანი ღონისძიებაა რიგთაშორის კულტივაცია და თოხნა.

ჩვენ კარგ საწარმოო დახმარებას გვიწევს თელავის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადა (ხელმძღვანელი გ. ძაბუკაშვილი). ბრიგადამ ორჯერ მოაწყო ნათესის კულტივაცია, ამასთან კვადრატულ-ბუდობრივად ნათესი დაამუშავა ორივე მიმართულებით. სიმინდი მესამეჯერაც გავთოხნეთ.

პირველი კულტივაცია და თოხნა მოვაწყეთ როცა მცენარეს განვითარდა 3-4 ფოთოლი, ხოლო მეორე კულტივაცია და თოხნა მაშინ, როცა მცენარე 30-35 სანტიმეტრი სიმაღლისა გაიზარდა. ამ ღონისძიებით ნათესში მოესპეთ სარეველა მცენარეები, ამასთან ნიადაგი გავაფხვიერეთ.

წლების მანძილზე კოლმეურნეობაში გამოიზარდნენ მოწინავე ადამიანები, რომლებმაც შეიძინეს სიმინდის მოსავლიანობის გადიდების მდიდარი გამოცდილება. რუსუდან ძამუკაშვილის, გიორგი ჩხუბიანიშვილისა და მარო ძამუკაშვილის რგოლები ყოველწლიურად ზრდიან წარმატებებს. წელსაც მათ გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

ლაგოდეხელ კოლმეურნეთა გამოცდილების საფუძველზე პირუტყვის საკვების დამატებითი რეზერვების შესაქმნელად შემოვიღეთ ნაწვერალზე სიმინდის თესვა. ამ მიზნით წელს 90 ჰექტარ ნაწვერალზე დავთესეთ სიმინდი „მინესოტა-13“. ეს საქმე ჩვენთვის ახალია, მაგრამ იმედი გვაქვს წარმატებით გავართმევთ თავს. სიმინდის მეორე მოსავლის ტაროს ავიღებთ რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში, დავკუწავთ და დავაკონსერვებთ.

კარგად მოვემზადეთ სიმინდის დასილოსებისათვის. საფუძვლიანად შევაკეთეთ ძველი, 300 ტონის ტევადობის ორმოები, გავთხარეთ სასილოსე ტრანშეები. საშეფო ორგანიზაციამ თავის ექსკავატორით გაგვიჭრა 1.000 ტონის ტევადობის ტრანშეა. ტრანშეის მოპირკეთება მთავრდება. კოლმეურნეობის სამშენებლო ბრიგადამ (ბრიგადირი ლ. სეხნიაშვილი), სადაც 45 კაცი ირიცხება, ყორექვის, რიყის ქვისა და ხრეშის მოზიდვაზე უნარიანად გამოიყენა მის განკარგულებაში გამოყოფილი 5 ავტომანქანა და ამდენივე ურემი. სიმინდის კარგად დასილოსებით პირუტყვს უზრუნველყოფთ კონცენტრირებული და წვნიანი საკვებით.

ს. ძამუკაშვილი,
რუისპირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ია ფი, ხელსაყრელი

სიმინდის მწვანე მასა შარშან პირველად დავასილოსეთ დიდი რაოდენობით. ამან სამუალება მოგვცა პირუტყვისათვის საჭირო რაოდენობით მიგვეცა ძვირფასი წვნიანი საკვები. კვების გაუმჯობესებამ მნიშვნელოვნად გაზარდა წველადობა. წლიური დავალება უკვე შევასრულეთ. გათვალისწინებული გვაქვს სამეურნეო წლის ბოლომდე თვითეულ საფურაძე ძროხაზე გეგმის გადამეტებით მივიღოთ 500 ლიტრი რძე.

წლევანდელი შედეგებით აღფრთოვანებულებმა გადავწყვიტეთ თვითეული ძროხისათვის დავამზადოთ სულ ცოტა 6-7 ტონა სიმინდის სილოსი. საამისოდ დავთესეთ 215 ჰექტარი სიმინდი, აქედან 50 ჰექტარი კვადრატულ-ბუდობრივად. მეორე მოსავლის მისაღებად ნაწვერალზე დავთესეთ 80 ჰექტარი სიმინდი. ნათესი კარგად დავამუშავეთ, მოვაწყეთ კვადრატულ-ბუდობრივად ნათესის ორმხრივი კულტივაცია, მთელი ფართობი უკვე ორჯერ გავთოხნეთ.

კოლმეურნეობის პერსპექტიული გეგმით ამოცანად გვაქვს დასახული დავასილოსოთ შარშანდელთან შედარებთ სამჯერ მეტი სიმინდის ღერო, ფოთოლი და ნედლი ტარო, ჩავდოთ 1.300 ტონა მწვანე მასა და 200 ტონა ტარო რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში. ახლა ჩვენ გვაქვს 520 ტონის ტევადობის სასილოსე ორმოები. ეს არ გვყოფნის. ამიტომ ხარკოვისა და დნეპროპეტროვსკის ოლქების კოლმეურნეობების მაგალითისამებრ ავაგეთ 1.000 ტონა ტევადობის სასილოსე ტრანშეა, რაც საკვებით დააკმაყოფილებს ჩვენს წლევანდელ მოთხოვნილებას. სასილოსე მეურნეობის მოწყობაში დახმარება აღმოგვიჩინა თელავის საქალაქო საბჭოს კომუნალურმა განყოფილებამ, რომელმაც მიწის სამუშაოების შესასრულებლად მოგვცა ექსკავატორი.

ტრანშეების მოსაპირკეთებლად გამოვიყენეთ ყორექვა, რიყის ქვა, ხრეში, აგური, კირი და ცემენტი. სასილოსე მწვანე მასისა და ნედლი ტაროს სწრაფი ჩატვირთვისათვის ყველაზე ხელსაყრელია მოეწყოს სექციებად დაყოფილი ტრანშეები. ამ შემთხვევაში ერთი სექციის ამოვსებისა და დახურვის შემდეგ კოლმეურნეები შეუდგებიან მეორე სექციის ჩატვირთვას. ამით თავიდან იქნება აცილებული სასილოსე მასის ჩახურება და ყუთთან ნივთიერებათა დაკარგვა.

სასილოსე ტრანშეების მოწყობა შედარებით იაფი და ხელსაყრელია. ეს, ჯერ-ერთი, იძლევა საშენი მასალის დიდ ეკონომიას, მეორეც, ადვილია ტექნიკის გამოყენება, რაც მუშახელს თავისუფლებს ზედმეტი შრომისაგან, ამასთან მშენებლობისათვის შესაძლებელია ადგილობრივი მასალის ფართოდ გამოყენება. ჩვენი პირობების შესაბამისად მოსაპირკეთებლად გამოვიყენეთ ყორექვა კირისა და ქვიშის ხსნართან ერთად, ხოლო ბალქანისათვის — ცემენტის ხსნარი, რამაც დიდი დანაზოგი მოგვცა.

ა. ჯაფიაშვილი,
ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე.

საშეფო დახმარება

პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცების მიზნით წელს თელავის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა გადაწყვიტეს ერთიანად და ერთისამად გაფართოონ სასილოსე მეურნეობა. ეს ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრისა და ივლისის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულების გზაზე.

ხარკოვისა და დნეპროპეტროვსკის ოლქების სამრეწველო ორგანიზაციების მაგალითმა, როგორც ცნობილია, დიდი მოწონება ჰპოვა. ჩვენც გადავწყვიტეთ შეფობა გავუწიოთ რამდენიმე მეზობელ კოლმეურნეობას. პირველ რიგში ექსკავატორები დასახმარებლად გავგზავნეთ კონდოლისა და ქვემო ხოდაშნის კოლმეურნეობებში.

კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 5 დღეს ნაყოფიერად იმუშავა ექსკავატორის მემანქანემ ვლ. ლატინინმა. მან ამ მოკლე დროში მოასწრო გაეთხარა ორი სასილოსე ტრანშეა, რომელთა სიგრძეა 40 მეტრი, სიგანე — 8 მეტრი და სიღრმე — 2,5 მეტრი.

ექსკავატორის მემანქანემ ნ. კანდელაკმა იმუშავა ქვემო ხოდაშნის კოლმეურნეობაში. აქ მან 500 კუბმეტრი მიწის სამუშაო შეასრულა. დავეხმარეთ აგრეთვე კისისხევისა და წინანდლის კოლმეურნეობებს.

კოლმეურნეობებს ვეხმარებით არა მარტო მიწის სამუშაოების შესრულებაში, არამედ სასილოსე ნაგებობათა მშენებლობაშიც. ტრანშეები მოვაპირკეთეთ 5.000 კუბმეტრ ფართობზე. კოლმეურნეობებმა ჩვენგან მიიღეს აგური, კირი, ცემენტი და სხვა საშენი მასალა. კონდოლის კოლმეურნეობას მოვუპირკეთეთ და სილოსის ჩასატვირთად გავუმზადეთ 500 ტონის ტევადობის ტრანშეა.

ნ. ერისთავი,
ტრესტ „საქსურსათმშენის“ სამშენებლო სამონტაჟო № 4 სამმართველოს უფროსი.



სასილოსე ორმოების რემონტი კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ციფრები და ფაქტები

⊙ **რაიონის კოლმეურნეობებში ყოველწლიურად დიდდება სიმინდის ნათესი ფართობი. წელს დათესეს 3.000 ჰექტარი. ეს შარშანდელზე 625 ჰექტარით მეტია. პროგრესული წესით — კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 1.100 ჰექტარი. ამ წესით შარშან მხოლოდ 270 ჰექტარი იყო დათესილი.**

⊙ **სიმინდის წარმოებაში გაბედულად ინერგება სოფლის მეურნეობის ნოვატორთა გამოცდილება. ლაგოდეხელთა მაგალითისამებრ რაიონის კოლმეურნეობებმა მეორე მოსავლის მისაღებად ნაწვერალზე დათესეს 1.627 ჰექტარი სიმინდი.**

⊙ **თესვის პროგრესულმა წესმა გააადვილა ნათესების მექანიზებული დამუშავება. მტს-ების მექანიზმებით ნათესში ორჯერ მოეწყო ორმხრივი კულტივაცია, ხოლო მწკრივად ნათესში — ერთმხრივი.**

⊙ **რაიონის საწარმო-დაწესებულებებმა შესანიშნავი თოხნობა გამოიჩინეს. მახობრივი შაბათობებით მათ კოლმეურნეობებს გაუთოხნეს 400 ჰექტარზე მეტი სიმინდის ნათესი.**

⊙ **გეგმით რაიონის კოლმეურნეობებმა 11.000 ტონა სილოსი უნდა ჩადონ. მათ იკისრეს დაასილოსონ 15.000 ტონა საკვები.**

⊙ **სამშენებლო და საწარმოო ორგანიზაციებმა შეფობა გაუწიეს კოლმეურნეობებს, სასილოსე ტრანშეების თხრაზე შეუსრულეს 15.000 კუბმეტრი მიწის სამუშაო. ამ მიზნით კოლმეურნეობებში მუშაობდა 5 ბულდოზერი, 2 ექსკავატორი და 5 სკრეპერი.**

პასუხი მკითხველებს

უხუცესთა საბჭოს

„კომუნისტის“ მკითხველები ს. ხურციძე (ვანის რაიონი), თ. დოგბრაშვილი (მაიაკოვსკის რაიონი), ა. გიგიაშვილი (თელავის რაიონი) გვთხოვენ განვუმარტოთ, თუ როგორ იქმნება უხუცესთა საბჭო და რა ფუნქციებს ასრულებს იგი.

უხუცესთა საბჭო არსებობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატასთან — კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსთან, აგრეთვე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებთან. უხუცესთა საბჭო დიდ დახმარებას უწევს უმაღლეს საბჭოს მის ორგანიზაციულ მუშაობაში. იგი არ არის არც ხელისუფლების, არც მმართველობის უფლებამოსილი ორგანო, არც სახელმწიფო აპარატში შემავალი დამოუკიდებელი უფლებებით აღჭურვილი ოფიციალური ორგანო. უხუცესთა საბჭო არ ირჩევა ცალკე სპეციალურად მოსახლეობის მიერ და არ არსებობს სესიის მოწვევამდე ან სესიის დახურვის შემდეგ. ამიტომ მის შესახებ არაფერია ნათქვამი სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

სსრ კავშირის კონსტიტუცია სახელმწიფოს ძირითადი კანონია. მასში ყველაფერი არ შეიძლება ჩაწერილ იქნას. როგორც ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატებთან არსებობენ ისეთი მუდმივი კომისიები, როგორიც არის: საკანონმდებლო განზრახულებათა მუდმივი კომისია, სამეფოო და საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიები. მაგრამ არც მათ შესახებ არის ჩაწერილი ჩვენს კონსტიტუციაში. ეს იმიტომ, რომ „კონსტიტუცია არის ძირითადი, და მხოლოდ ძირითადი კანონი“ (ი. სტალინი).

როდის, რა წესით და ვისი შემადგენლობით იქმნება უხუცესთა საბჭო

უხუცესთა საბჭო იქმნება დეპუტატების შემადგენლობით, შემდეგი წესით: გამოცხადდება თუ არა, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ უმაღლესი საბჭოს მოწვევის თარიღი, მოკავშირე რესპუბლიკებიდან, ავტონომიური რესპუბლიკებიდან, მხარეებიდან, ოლქებიდან და ავტონომიური ოლქებიდან ორგანიზებულად მიემგზავრებიან კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს დეპუტატები. საქართველოს სს რესპუბლიკიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე დასასწრებად მიემგზავრება კავშირის საბჭოს 12 და ეროვნებათა საბჭოს 52 დეპუტატი. კავშირის საბჭოში და ეროვნებათა საბჭოში ეს 12 და 52 დეპუტატი წარმოადგენენ დეპუტატთა ცალცალკე ჯგუფებს, რომლებიც თავიანთი შემადგენლობიდან გამოაყოფენ წარმომადგენლებს უხუცესთა საბჭოში მონაწილეობისათვის.

ამრიგად, უხუცესთა საბჭო იქმნება ყოველი მოკავშირე რესპუბლიკისა და ავტონომიური ერთეულების ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების დეპუტატთა ჯგუფების წარმომადგენლებისაგან.

ტერმინი „უხუცესთა საბჭო“ პირობითია. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ დეპუტატთა ჯგუფებმა მართლაც უეჭველად უხუცესები უნდა წარგზავნონ ამ საბჭოში და რომ საბჭოს მთელი შემადგენლობა აუცილებლად უხუცესებისაგან უნდა შედგებოდეს.

როგორც ცნობილია, ყოველი ახალი მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია ცალცალკე პალატების მიხედვით უნდა გახსნან უხუცესმა დეპუტატებმა. ეს პრინციპი ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაში დამკვიდრდა 1938 წლიდან. ამ შემთხვევაში სესიას ხსნის დამსწრე დეპუტატთაგან ყველაზე უხუცესი დეპუტატი. მაგრამ, რაც შეეხება უხუცესთა საბჭოს შემადგენლობას, პრაქტიკით არ არის დადგენილი, რომ მასში აუცილებლად უხუცესები შედიოდნენ.

უხუცესთა საბჭო იკრიბება სესიის გახსნის წინ. იგი იკრიბება აგრეთვე სესიის ჩატარებისას, სხდომათა შორის. სესია იხურება და უხუცესთა საბჭოც იშლება. იგი სესიათა შორის პირიოდში აღარ არსებობს. მაშასადამე, უხუცესთა საბჭო მოქმედებს მხოლოდ უმაღლესი საბჭოს სესიის დროს.

უხუცესთა საბჭოს ფუნქციები

უხუცესთა საბჭო ჩვეულებრივად სხდომას მართავს უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნის წინ. იგი წინასწარ განიხილავს სესიის დღის წესრიგს და რეგლამენტს. უხუცესთა საბჭო ავალებს თავისი შემადგენლობიდან ერთ-ერთ დეპუტატს, რათა მან საბჭოს სახელით წინადადება შეიტანოს სესიაზე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თვითეული პალატის უხუცესთა საბჭო რეკომენდაციას იძლევა პალატის თავმჯდომარისა და მოადგილეების კანდიდატურათა შესახებ. ასევე აყენებს უმაღლესი საბჭოს სხვა ორგანოებში ასარჩევ პირთა კანდიდატურებსაც. უხუცესთა საბჭოებს იმის უფლებაც აქვთ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურა, ამასთან შეუძლიათ უმაღლეს საბჭოში სხვა ორგანიზაციული საკითხის შესახებაც წარადგინონ თავიანთი წინადადებები.

ამრიგად, უხუცესთა საბჭო იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ სესიაზე ამა თუ იმ ორგანოს არჩევისას მის შემადგენლობაში საჭიროებისამებრ გაყვანილ იქნას დეპუტატთა ყველა ჯგუფის და, მაშასადამე, ყველა რესპუბლიკისა თუ ოლქის წარმომადგენელი. ამავე დროს უხუცესთა საბჭო ახდენს დეპუტატთა სხვადასხვა ჯგუფების სურვილებისა და მოთხოვნილებების კოორდინირებას ორგანიზაციულ დარგში.

უხუცესთა საბჭოს მჭიდრო ურთიერთობა აქვს შესაბამის მუდმივ კომისიებთან და მოქმედებს დემოკრატიულ საწყისებზე. ამა თუ იმ წინადადებას უხუცესთა საბჭოები თავიანთ სხდომებზე ამტკიცებენ დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით და ერთ-ერთ დეპუტატს ავალებენ ამ წინადადების სესიაზე გატანას.

არის შემთხვევა, როდესაც სესიაზე ესა თუ ის დეპუტატი გამოდის და რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკის, ოლქისა თუ მხარის და მათი დეპუტატთა ჯგუფების სახელით შეაქებს რაიმე წინადადება. ამ შემთხვევაში ასეთ დეპუტატს უხუცესთა საბჭოს სახელით გამოსვლა სესიაზე იმიტომ არ შეუძლია, რომ იგი დეპუტატთა ყველა ჯგუფის წარმომადგენლების სახელით არ გამოდის. მაშასადამე, არა დეპუტატთა მხოლოდ რამდენიმე ჯგუფის წარმომადგენლები ქმნიან უხუცესთა საბჭოს, არამედ მას ქმნის ყველა ჯგუფის წარმომადგენლობა ან ყოველ შემთხვევაში ჯგუფების ორი მესამედის წარმომადგენლობა. თუ ასეთი ქვორუმი არ იქნა, მაშინ სესიაზე წინადადების შემტანი დეპუტატი ვალდებულია დასასახელოს დეპუტატთა ის ჯგუფები, რომელთა სახელითაც გამოდის, ხოლო თუ ეს არ დასახელა, მაშინ იგულისხმება, რომ იგი მხოლოდ თავისი სახელით გამოდის.

აი ასეთი დემოკრატიული პრინციპია დაცული უმაღლესი საბჭოს საორგანიზაციო მუშაობის პერიოდში.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებთან, იმის გამო, რომ ისინი ორი პალატისაგან არ შედგებიან, უხუცესთა თითო საბჭო იქმნება. იგი შესაბამისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების დეპუტატთა ჯგუფების წარმომადგენელთაგან არის შექმნილი და მისი ფუნქციებიც დაახლოებით იგივეა, რაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თვითეულ პალატასთან შექმნილი უხუცესთა საბჭოებისა.

სულ სხვა მდგომარეობაა ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ბურჟუაზიულ პარლამენტებთან არსებობს ეგრეთწოდებული „სენიორთა კონვენტი“,[1] რომელიც იქმნება პარლამენტში მონაწილე პარტიების ფრაქციათა წარმომადგენლებისაგან და წარმოადგენს იმპერიალისტთა ვიწრო წრეების კულისებში მოლაპარაკების საშუალებას. „სენიორთა კონვენტს“ პარლამენტში ფფრო მეტი უფლებები აქვს, ვიდრე ორგანიზაციულ საქმიანობაში მონაწილეობაა. იგი ერევა პარლამენტის საკანონმდებლო და საერთოდ პოლიტიკური საკითხების გადაჭრაში.

იმპერიალისტური ბურჟუაზია პარლამენტის შიგნით ამ ორგანოს კომუნისტური პარტიისა და სხვა პროგრესული ძალების წარმომადგენელთა წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებს.

დოცენტი ბ. ერემოვი.

[1] თანამედროვე გაგებით, იტალიურ და ესპანურ ენებზე „სენიორორ“ ნიშნავს ბატონს. აქედან „სენიორთა კონვენტი“ შეიძლება აიხსნას, როგორც „ბატონთა კონვენტი“.

50.000 მანეთი მოგება

თბილისის შემნახველი სალაროები 4 აგვისტოდან შეუდგნენ სსრ კავშირის საბალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის ობლიგაციების მიხედვით მოგებათა განაღდებას. ამ სესხის მე-16 ტირაჟი შედგა მიმდინარე წლის 24 ივლისს ქალაქ კრივოი როგში.

მარტო ერთ დღეს ქ. თბილისის შემნახველმა სალაროებმა გაანაღდეს 918.855 მანეთის 3.725 მოგება. მოლოტოვის რაიონში ერთ დღეს განაღდებულ იქნა 140 ათასი მანეთის 572 მოგება.

თბილისის კალინინის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში გასანაღდებლად წარდგენილ იქნა 200-მანეთიანი ობლიგაცია (№ 11-12, სერია № 37150), რომელსაც ხვდა 50.200 მანეთი მოგება. ამავე დღეს წარდგენილ იქნა ობლიგაციები, რომლებსაც ხვდათ 25.000, 10.000 და 5.000 მანეთი მოგება.

ავადმყოფი სკოლეგისათვის

თბილისის კუიბიშევის სახელობის ხისდამუშავებელმა ქარხანამ ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის სკოლებს უნდა მოუმზადოს 1.050 მაგიდა ლაბორატორიებისათვის, 400 მერხი, 70 კარადა, ათობით საკლასო დაფა და სხვ.

სკოლებისათვის ავეჯს ამზადებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიდაქტიკური ხელსაწყოების წარმოება. იგი უშვებს აგრეთვე საბავშვო გარდერობებს და სკამებს საბავშვო ბაღების, ბაგებისა და სახლებისათვის, ამზადებს სასკოლო დოკუმენტაციას — საკლასო და აკადემიური წარმატების ჟურნალებს, სკოლის დღიურებს, მოწაფის პირად საქმეებს, ყოფაქცევისა და წარმატების მოწმობებს და სხვ.

იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაცია უკრაინაში

კიევი, 11 აგვისტო. (საკდესი). დღეს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დელეგაციამ, რომელიც საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით იმყოფება, ავტომანქანებით იმოგზაურა კიევის ოლქის ბროვარის რაიონში. აქ იუგოსლავი ხალხის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს ბროვარის მტს-ი და ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობა.

ბროვარის მტს-ის დირექტორმა ნ. სუხორუკოვმა სტუმრებს უამბო სადგურის მუშაობის შესახებ. დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს სადგურის ცენტრალური ეზო. მათ სურდათ მიეღოთ დაწვრილებითი ცნობები მექანიზატორთა მუშაობის შესახებ.

ტრაქტორისტები, მექანიკოსები, ინჟინრები ხალისით უზიარებდნენ იუგოსლავ სტუმრებს გამოცდილებას, უამბობდნენ თავიანთ საწარმოო მიღწევებზე. დელეგაციამ გულითადი მადლობა გადაუხადა მტს-ის მუშაკებს შინაარსიანი საუბრისათვის და გაემგზავრა ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობაში.

კოლმეურნეობის გამგეობის შენობის წინ იუგოსლავ პარლამენტარებს გულთბილად შეხვდნენ არტელის თავმჯდომარე ი. კოვბასინსკი, გამგეობის წევრები, კოლმეურნეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. უხუცესმა კოლმეურნემ ვ. როგაჩმა იუგოსლავიის დელეგაციის მეთაურს ვლადიმერ ბაკარიჩს მოქარგული პირსახოცით პურ-მარილი მიართვა. თანასოფლელთა სახელით იგი მხურვალედ მიესალმა სტუმრებს.

დელეგატებს ი. კოვბასინსკიმ უამბო კოლმეურნეობის ცხოვრებაზე, საცნობა, რომ მეურნეობა ყოველწლიურად რამდენიმე მილიონ შემოსავალს იღებს. სოფელი მთლიანად ელექტროფიცირებულია, მას აქვს რადიოკვანძი, საავადმყოფო, მუსიკალური სკოლა, ათწლიანი სკოლა. კოლმეურნეობაში მინდვრის მთელი სამუშაოების 90 პროცენტი მექანიზებულია. არტელი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუდმივი მონაწილეა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და რაიონის ხელმძღვანელებმა დაწვრილებით უამბეს სკუპშჩინის დელეგატებს, თუ როგორ ხორციელდება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, როგორ ხორციელდება კოლმეურნეობებში დაგეგმვის სისტემა. იუგოსლავმა სტუმრებმა დაათვალიერეს მეცხოველეობის მექანიზებული ფერმა, ბაღი. უკრაინელმა კოლმეურნეებმა იუგოსლავი მეგობრების პატივსაცემად სადილი გამართეს. სადილის დროს მოხდა სიტყვების გაცვლა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. კოვბასინსკიმ მადლობა გადაუხადა დელეგაციას კოლმეურნეობაში მისვლისათვის და რწმენა გამოთქვა, რომ საბჭოთა და იუგოსლავი ხალხების მეგობრობა განუწყვეტლივ განმტკიცდება. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ვლადიმერ ბაკარიჩმა. დღეს კოლმეურნეობაში ყოფნით, თქვა მან, — ჩვენ დავინახეთ, რომ აქ ბევრი რამის სწავლა შეგვიძლია. ჩვენთვის სასიამოვნოა, რომ საბჭოთა ადამიანები მიესალმებიან იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ურთიერთობის ნორმალიზაციას. ჩვენი ჩამოსვლა ხელს შეუწყობს ამ მეგობრობის განმტკიცებას. თქვენი გულთბილი მიღება ადასტურებს მეგობრულ დამოკიდებულებას იუგოსლავი ხალხისადმი.

სადილმა განსაკუთრებული გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

• • •

დღეს უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ პ. გ. ტიჩინამ დარბაზობა გამართა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის დელეგაციის პატივსაცემად. დარბაზობას დაესწრნენ დელეგაციის წევრები ვლადიმერ ბაკარიჩის მეთაურობით.

საბჭოთა მხრივ დარბაზობაზე იყვნენ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ს. ა. კოვპაკი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. ნ. ზლენკო, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ს. ვ. ჩერვონენკო, უკრაინის სსრ მინისტრები, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაციის თანმხლებნი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ა. მ. საფრონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის თანაშემწე კ. ა. კოჩეტკოვი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში დ. ვიდიჩი და საელჩოს მრჩეველი ფ. ბაბიჩი.

მიესალმა რა იუგოსლავ მეგობრებს, პ. გ. ტიჩინამ რწმენა გამოთქვა, რომ საბჭოთა და იუგოსლავი ხალხების მეგობრობა განუწყვეტლივ გაიზრდება და განმტკიცდება.

დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაციის მეთაურის ვლადიმერ ბაკარიჩის გამოსვლას. მადლობა გადაიხადა რა გულითადი მიღებისათვის, მან გამარჯვება უსურვა იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა დიად, ურღვევ მეგობრობას, ორი მოძმე ხალხის კეთილდღეობას.

დარბაზობაზე გამოვიდნენ დელეგაციის სხვა წევრებიც.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია სსრ კავშირში

კუიბიშევი, 11 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის წევრები ეცნობოდნენ რაკდუხიეკ სასოფლო-სამეურნეო ობიექტს.

ჯგუფმა დელეგაციის ხელმძღვანელის უილიამ ლამბერტის ძეთაურობით გადწყვიტა ეფახა ბოლოტოვის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა. კოლმეურნეები გულთბილად შეხვდნენ სტუმრებს, რომლებმაც ინტერესით დაათვალიერეს მეცხოველეობის ფერმები და განსაკუთრებთ ბეტონირებული სასილოსე ნაგებობანი, რომელთაგან თვითეულის ტევადობაა 25-დან 100 ტონამდე.

შემდეგ სტუმრები ეწვივნენ კუიბიშევის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს. მათ მიესალმნენ სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა. ამის შემდეგ, რაც დირექტორმა ნ. ს. შჩიბრაევმა სტუმრებს უამბო ინსტიტუტის მუშაობის შესახებ, დელეგაცია გაეცნო წმყვანი კათედრების მუშაობას სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მომზადების დარგში, აგრეთვე მათს მეცნიერულ-კვლევითს მუშაობას. სტუმრებმა ყურადღებით დათვალიერეს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ახალი ჯიშები, გამოყვანილი ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ, და გამოთქვეს მთელი რიგი სურვილები. უილიამ ლამბერტმა, კერძოდ, უჩინა ინსტიტუტის მუშაკებს გაეცნონ და გამოიყენონ ნიადაგთა ანალიზის, აგრეთვე მცენარეთა ფიზიოლოგიისა და დაცვის დარგში ცდების განხორციელების უკანასკნელი ამერიკული მეთოდები. დელეგატთა ჯგუფმა დათვალიერა ინსტიტუტის საცდელ-სასელექციო სადგური.

ინსტიტუტიდან წასვლის წინ უილიამ ლამბერტმა თქვა, რომ კუიბიშევის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროგრამასა და მუშაობას ბევრი რამ აქვს საერთო ნებრასკის შტატის უნივერსიტეტთან არსებული სასოფლო-სამეურნეო კოლეჯის პროგრამასთან და მუშაობასთან, კოლეჯისა, რომელსაც ოი მეთაურობს და გამოქვა სურვილი დაიწყოს მეცნიერული შრომებისა და სტუდენტების გაცვლა ამ ორ დაწესებულებას შორის. ჩრდილოეთ კაროლინის შტატის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯის დეკანმა უილიამ რიდმა განუცხადა ინსტიტუტის თანამშრომლებსა და პრესის წარმომადგენლებს: მე და დელეგაციის სხვა წევრები ვხედავთ, რომ საბჭოთა კავშირში დიდად ზრუნავენ მეცნიერთა კადრებისა და სტუდენტებისათვის.

დელეგაციის მეორე ჯგუფმა რალფ ოლსენის მეთაურობით ინახულა კუიბიშევის ოლქის დაშორებული კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი.

ამაღელვებელი შეხვედრა მოხდა სტავროპოლის ^აიონის სოფელ ვასილიევკაში, სადაც არის მრავალდარგოვანი კოლმეურნეობა „ლენინის გზა“. კოლმეურნეები პურმარილით შეხვდნენ სტუმრებს. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. გ. მაშტაკოვმა სტუმრებს გააცნო მეურნეობის ისტორია და ეკონომიკა, უამბო მისი განვითარების პერსპექტივებზე.

დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს სკოლმეურნეო მინდვრები და მეცხოველეობის ფერმები, ბოსტნეულის ვრცელი პლანტაციები. სტუმრების ყურადღება მიიპყრო სიმინდის, კომბოსტოს, პამიდორისა და კიტრის საცდელმა ნაკვეთებმა, რომლებზეც ცდიან ამ კულტურების 28 ჯიშს და არჩევენ უკეთეს ჯიშებს საკოლმეურნეო წარმოებაში დასანერგად. ყოველივე ნახულის შედეგად სტუმრებმა გამოთქვეს აზრი, რომ კოლმეურნეობას შეუძლია წელს მიიღოს არა სამნახევარი მილიონი მანეთი ფულადი შემოსავალი, როგორც არტელის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს მათთან საუბარში, არამედ გაცილებით მეტი.

ამერიკის დელეგაციის წევრებთან საუბარში მაშტაკოვმა მოიყვანა მონაცემები კოლმეურნეობა შემოსავლის ზრდის შესახებ.

გაიგეს რა, რომ კოლმეურნეობა „ლენინის გზას“ ესტუმრა ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია, აქ მოვიდნენ მეზობელ კოლმეურნეობა წარმომადგენლნი. დელეგაციის წევრებს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ მათთან, უამბობდნენ სოფლის მეურნეობის წარმოების მეთოდებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მეგობრული შეხვედრა სოფელ ვასილიევკაში დამთავრდა მხატვრული თვითმოქმედების წრეების მონაწილე კოლმეურნეთა გამოსვლით. ქუჩაში სოფლის სკოლასთან გულს შეუერთდა დელეგაციის ყველა წევრი და ერთად შეასრულეს რუსული სიმღერა „სამშობლოზე“ („ვრცელია ჩემი მშობლიური ქვეყანა“).

ვასილიევკიდან გამგზავრების წინ ფერმერმა ოლსენმა დელეგაციის ყველა წევრის სახელით უთხრა კოლმეურნეებს, რომ აქ გატარებული დღე ერთ-ერთი საუკეთესო დღეა საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას და იგი დარწმუნებულია, რომ ეს კოლმეურნეობა, ისევე როგორც რაიონის სხვა არტელები, სწრაფად წავა წინ თავისი ეკონომიკის აღმავლობის გზით.

საღამოს კუიბიშევის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. ა. პეტრუხინმა დარბაზობა გამართა ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის პატივსაცემად.

პაშკენტი, 11 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს საღამოს აქ ჩამოვიდა ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაცია. აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ უზბეკეთის სსრ დედაქალაქისა და ტაშკენტის ოლქის მშრომელთა წარმომადგენლები. შემხვედრთა შორის იყვნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების დირექტორები, სამეცნიერო დაწესებულებათა და სასოფლო-სამეურნეო სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები.

ტაშკენტის ოლქის მშრომელთა სახელით ამერიკელ დელეგატებს მიესალმა ტაშკენტის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ჰაკიმ ჯალილოვი.

ამერიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის ბიოლოგიური ლაბორატორიები

ჟენევა, 11 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ მეშაობა დაიწყეს კონფერენციის სექციებმა. ფიზიკის საკითხთა სექციაში სხვა მოხსენებათა შორის მოისმინეს საბჭოთა მეცნიერების მ. პასეჩნიკის, პ. სპიჯაკისა და ლ. გრიშევის მოხსენებანი.

დღეს ფიზიკის სექცია განაგრძობდა მუშაობას. გარდა ამისა სხდომა ჰქონდათ ქიმიის, მეტალურგიისა და ტექნოლოგიის სექციის და ბიოლოგიისა და მედიცინის სექციას.

ქიმიის, მეტალურგიისა და ტექნოლოგიის სექციის დილის სხდომა მიეძღვნა ურანისა და თორიუმის მოპოვებას. ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, იუგოსლავიის, ინგლისის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების დელეგატებმა.

საბჭოთა მეცნიერების ვ. ბარანოვისა და ა. საუკოვის მოხსენებანი შეიცავდნენ ცნობებს, თუ რა მეთოდებს იყენებენ სსრ კავშირში ურანისა და თორიუმის მადნის საძიებლად. ამ ცნობებმა საყოველთაო ინტერესი გამოიწვია

ჟენევა, 11 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს კონფერენციის დილის სხდომაზე დამთავრდა საერთო დისკუსია განსახილველ პრობლემებზე. ახლა კონფერენციის მონაწილენი მუშაობას განაგრძობენ სხვადასხვა სექციაში. დღევანდელ პლენარულ სხდომაზე განიხილეს მრეწველობის სხვადასხვა დარგში, სოფლის მეურნეობაში, მეცნიერულ-კვლევითს მუშაობასა და მედიცინაში რადიაქტიური იზოტოპების გამოყენების საკითხი. ამ თემაზე მოხსენებები გააკეთეს ბ. ებერსოლდმა (ამერიკის შეერთებული შტატები) და დოქტორმა გ. ზელიგმენმა (ინგლისი).

ებერსოლდმა აღნიშნა, რომ რადიაქტიური იზოტოპების დანერგვის შესაძლებლობანი ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული. მოხსენებაში მოყვანილი იყო მაგალითები რადიაქტიური იზოტოპების გამოყენებისა, კერძოდ, ქიმიური, ფიზიკური პროცესების, პროდუქტებისა და წამლების ცივი სტერილიზაციის, ავადმყოფთა მკურნალობის შესწავლის მიზნით, დეფექტოსკოპიაში, ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური პროცესების, ქიმიური რეაქციების მექანიზმის შესწავლისათვის და სხვ.

ზელიგმენმა აგრეთვე მოიყვანა მრეწველობის სხვადასხვა დარგში რადიაქტიური იზოტოპების გამოყენების მაგალითები.

ამ მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა დელეგაციის წევრმა პროფესორმა ა. მ. სამარინმა, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ იზოტოპების გამოყენების დარგში გამოცდილების საერთაშორისო გაცვლა ხელს შეუწყობს მრეწველობის პროგრესს ყველა ქვეყანაში.

საბჭოთა მეცნიერმა პროფესორმა ა. ლ. კურსანოვმა კონფერენციას წარუდგინა მოხსენება სსრ კავშირში რადიაქტიური იზოტოპების გამოყენების შესახებ ბიოლოგიასა და სოფლის მეურნეობაში. მოხსენება წარმოადგენს ყველაზე არსებითი შედეგების მიმოხილვას, რომლებიც მიღებულია საბჭოთა კავშირში „ნიშანდებული ატომების“ საშუალებით მცენარეთა შესწავლისას, და ახასიათებს საბჭოთა კავშირის მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის მასშტაბსა და მიმართულებას ამ დარგში.

სსრ კავშირში იზოტოპების წარმოების ორგანიზაციამ, თქვა მომხსენებელმა, ახალი ფართო შესაძლებლობანი შექმნა მეცნიერული კვლევისათვის ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის დარგში.

შედარებით ცოტა დრო გავიდა მას შემდეგ, თქვა პროფესორმა კურსანოვმა, რაც რადიაქტიური ელემენტები ფართოდ შევიდა ბიოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო ლაბორატორიების პრაქტიკაში. მაგრამ უკვე ამ მოკლე დროში „ნიშანდებულმა ატომებმა“ საშუალება მოგვცა დაგვენახა ბევრი ახალი მხარე მცენარეთა ცხოვრებაში, რომელთა ცოდნა შესაძლებელს ხდის უფრო სწრაფად მოვაწყოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების კვება და მოვლა. უეჭველია, მცენარეთა შემდგომი შესწავლა რადიაქტიური ელემენტების საშუალებით კიდევ ბევრ ახალს და მოულოდნელს გვიჩვენებს მათს ცხოვრებაში.

პროფესორმა კურსანოვმა აღნიშნა, რომ იზოტოპების გამოყენება მცენარეთა მიერ სასუქის შეთვისების შესწავლისას საშუალებას იძლევა ადვილად და ზუსტად გადაიჭრას სოფლის მეურნეობისათვის ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის სასუქების რაციონალური განაწილება ნიადაგში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რადიაქტიური ფოსფორის გამოყენებამ ფესვების შთანთქმელი ფუნქციის შესწავლისას ამ დიდი ხნის ცნობილ პროცესში დაგვანახვა ახალი თავისებურებანი, რაც საშუალებას იძლევა თეორიულად დავასაბუთოთ გრანულირებული სასუქების გამოყენება.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ რადიაქტიური იზოტოპების გამოყენებამ საშუალება მისცა საბჭოთა აგრონომიულ მეცნიერებას დაესაბუთებინა მცენარეთა ფესვგარეშე კვების გამოყენება — მცენარეთა მიწისზედა ნაწილებზე საჭირო რაოდენობის საკვებ ნივთიერებათა შესხურების, შეფრქვევის, ხოლო ზოგჯერ შებოლვის გზით.

სოფლის მეურნეობის დარგში იზოტოპების გამოყენებისადმი მიძღვნილი მოხსენება კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინა გაერთიანებული ერების სურსათისა და სოფლის მეურნეობის საკითხთა ორგანიზაციამ. მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობაში ატომის ენერგიის გამოყენება ხელს შეუწყობს ცხოვრების დონის ამაღლებას ყველა ქვეყანაში.

პლენარული სხდომის დასასრულს კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს დოქტორ ე. გლუკაუფის (ინგლისი) და პროფესორ ე. უოლშენის (ამერიკის შეერთებული შტატები) მოხსენებები, რომლებიც მიეძღვნა რადიაქტიური ნარჩენების მოცილების პრობლემას.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V მსოფლიო ფესტივალზე

საბჭოთა სპორტსმენების წარმატებანი

ვარშავა, 11 აგვისტო. (საკდესი). მეორე საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობაზე, რომელიც ახალგაზრდობის ფესტივალის ფარგლებში ეწყობა, გუშინ დამთავრდა შეხვედრები კლასიკურ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის, პოლონეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, შვეიცის, დანიის, ფინეთის, იტალიის, საფრანგეთის, ეგვიპტის, ლიბანისა და სხვა ქვეყნების ტუნდები. ძლიერ მოწინააღმდეგეებთან ჭიდაობაში საბჭოთა სპორტსმენებმა შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს და ექვსი ოქროს მედალი მიიღეს. საერთაშორისო ასპარეზობის ჩემპიონთა წოდება მოიპოვეს ე. სეირიდოვმა (მჩატე წონა), ვ. სტაშკევიჩმა (ქვესუბუქი წონა), ა. საფონმა (მსუბუქი წონა), გ. გამარნიკმა (ქვესაშუალო წონა), ლ. ანფინოგენოვმა (საშუალო წონა), და ა. ტკაჩოვმა (ქვემძიმე წონა). ჩემპიონთა ოქროს მედლები მიიღეს აგრეთვე უმჩატესი წონის ოსმანმა (ეგვიპტე) და მძიმე წონის მეჰმედოვმა (ბულგარეთი).

გრძელდება შეჯიბრება სიმძიმის აწევაში. მსუბუქ წონაში ოქროს მედალი და ახალგაზრდობის სპორტული ასპარეზობის ჩემპიონის წოდება მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა იგორ რიბაკმა, რომელმაც სამჭიდში უჩვენა საუკეთო შედეგი — 370 კილოგრამი. ამ წონის კატეგორიის მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონი ეგვიპტელი გოუდა მეორე ადგილზე იყო. მისი შედეგია 365 კილოგრამი. საშუალო წონაში გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა ძალოსანმა ხ. ალი-ოღლიმ, რომელმაც სამჭიდში 395 კილოგრამი მოაგროვა.

• • •

კრაკოვი, 11 აგვისტო. (საკდესი). დღეს ფესტივალის ათასამდე მონაწილემ იმოგზაურა ვარშავიდან ოსვენციმში. პოლონეთის, სსრ კავშირის, ჩინეთის, საფრანგეთის, ინგლისის, ესპანეთის, გერმანიის, ირანის, ერაყისა და სხვა ქვეყნების ახალგაზრდათა დელეგაციების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს ჰიტლერელთა ყოფილი „სიკვდილის ბანაკი“. მათ ახლდნენ ბანაკის ყოფილი ტუსაღები, რომლებმაც ახალგაზრდებს დაწვრილებით უამბეს ფაშისტთა მზეცობის შესახებ ბანაკის ტერიტორიაზე 1940-45 წლებში. ოსვენციმის დათვალიერების შემდეგ მოედანზე ბანაკის მთავარი შესასვლელის წინ გაიმართა მიტინგი, რომელშიც უცხოელ ახალგაზრდობასთან ერთად მონაწილეობა მიიღო ასობით ადგილობრივმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა. მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის ახალგაზრდობის კავშირის მთავარი გამგეობის მდივანმა ტადეუშ ვეგნერმა. მიესალმა რა ფესტივალის მონაწილეებს, მან გამოთქვა რწმენა, რომ მშვიდობისათვის მებრძოლი მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობა არ დაუშვებს ახალ ოსვენციმს.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე იტალიის, გერმანიის, საფრანგეთის, იაპონიის, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის წარმომადგენელნი. ყველანი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ყველა ქვეყნის ახალგაზრდა თაობის წმიდა მოვალეობაა დაუცხრომლად იბრძოლოს ფაშიზმის აღორძინების წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

— ჩვენ, გერმანელი ახალგაზრდობა, — თქვა გერმანიის დელეგატმა, — ვილაშქრებთ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ. ჩვენ გვსურს, რომ ჩვენი ქვეყანა გაერთიანდეს და ღირსეული ადგილი დაიკავოს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა შორის. მსოფლიოს მთელ ახალგაზრდობასთან ერთად ჩვენ უნდა გავაერთიანოთ ჩვენი ძალები, რათა გზა გადავუღობოთ მილიტარისტულ ძალებს, რომლებიც ისწრაფვიან გაიჩაღონ ახალი ომი.

ოსვენციმიდან ფესტივალის მონაწილეთა ერთი ჯგუფი გავემგზავრა კრაკოვში და დათვალიერა ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ხოლო შემდეგ ინახულა ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატი ნოვა გუტაში. ქალიშვილთა და ჭაბუკთა მეორე ჯგუფი იყო სტალინოგოტუდში. პოლონეთის მოსახლეობა მათ ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდა.

დალესი სამხრეთ კორეაში არსებული მდგომარეობის შესახებ

ვაშინგტონი, 11 აგვისტო. (საკდესი). გუშინ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც სახელმწიფო მდივანი დალესი შეეხო სამხრეთ კორეაში არსებული მდგომარეობას, სადაც, როგორც ვიუწყებოდით, ლი სინ მანის მთავრობამ პროვოკაციული კამპანია დაიწყო კორეაში დაზავების სამეთვალყურეო კომისიის წინააღმდეგ, კერძოდ, კომისიის ჩეხოსლოვაკი და პოლონელი წევრების წინააღმდეგ. ლი სინ მანმა გაგზავნა „ულტიმატუმი“ და მოითხოვს, რომ ამ კომისიამ დატოვოს სამხრეთი კორეა.

დალესმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „თანაგრძნობით ეპყრობიან“ ლი სინ მანს, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა „ვერ მოიწონებს“ საშუალებებს, რომლებსაც იგი ახლა მიმართავს.

დალესმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს გარკვეული ვალდებულება აკისრიათ, რომლებიც სავსებით ნათლად არის ჩამოყალიბებული დაზავების შეთანხმებაში და ითვალისწინებს სამეთვალყურეო კომისიის წევრთა უშიშროების უზრუნველყოფას.

დალესმა თქვა, რომ შეთანხმებანი მეთვალყურეობის შესახებ ნავარაუდევი იყო საკმაოდ მოკლე პერიოდისათვის და, რამდენადაც ჟენევის თათბირს (1954 წლისა) არ მოჰყვა კორეის პრობლემის რეალური გადაჭრა, დაზავების შეთანხმებათა ბევრი დებულება ახლა „მოძველდა“. მაგრამ დალესმა დასძინა, რომ საკითხი, თუ როგორ შეიცვალოს ეს დებულებანი, სერიოზულ განხილვასა და მოთმინებას მოითხოვს.

დალესმა უარყოფითად უპასუხა კითხვაზე, თანახმა არიან თუ არა ამერიკის შეერთებული შტატები კორეის ახლანდელ გათიშვაზე. მან დასძინა, რომ არსებობს გათიშვა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს, რასაკვირველია, სამუშაროდ მიაჩნიათ, მაგრამ არ ფიქრობენ, რომ ეს საკითხი შეიძლება ომის საშუალებით გადაიჭრას. დალესმა განაცხადა, რომ, მისი რწმენით, კორეის გაერთიანება მიღწეულ იქნება ძალის გამოუყენებლად.

ინდონეზიის ახალი მთავრობა

ჯაკარტა, 11 აგვისტო. (საკდესი). დღეს ვიცე-პრეზიდენტმა ხატამ დამტკიცა ინდონეზიის ახალი მთავრობის შემადგენლობა მუსლიმანთა პარტია „მაშუმის“ ერთ-ერთი ლიდერის ხარახაპის მეთაურობით.

მთავრობის შემადგენლობაში, რომელსაც კოალიციური ხასიათი აქვს, შედიან ინდონეზიის სხვადასხვა მემარჯვენე პარტიის წარმომადგენლები, მათ შორის მუსლიმანთა პარტია „მაშუმის“, მუსლიმანთა გაერთიანებული პარტიის, პარტია „ნახდათულ ულამის“, სოციალისტური პარტიის, კათოლიკური პარტიისა და სხვა პარტიების წარმომადგენლები.

პრემიერ-მინისტრისა და თავდაცვის მინისტრის პოსტი უკავია ხარახაპს („მაშუმის“ პარტია), საგარეო საქმეთა მინისტრისა — ანაკ აგუნგს (დემოკრატიული პარტია), შინაგან საქმეთა მინისტრისა — სუნარიოს („ნახდათულ ულამის“ პარტია), ფინანსთა მინისტრისა — სუმიტროს (სოციალისტური პარტია), ეკონომიკის მინისტრისა — ტასიმოს (კათოლიკური პარტია), სოფლის მეურნეობის მინისტრისა — სარჯანს („მაშუმის“ პარტია).

სპორტის ამბები

საბჭოთა სპორტსმენების წარმატებანი

ამ დღეებში ვარშავიდან მოსკოვში დაბრუნდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა V მსოფლიო ფესტივალის მონაწილე სპორტსმენთა პირველი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან მძლეოსნები, ტანმოვარჯიშეები, მოჭიდავეები.

ფესტივალზე წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა მძლეოსნები, რომლებმაც 58 მედალი მოიპოვეს, აქედან 23 ოქროს, 20 ვერცხლის და 15 ბრინჯაოს მედალი. ამ დიდ სპორტულ ასპარეზობაში აღსანიშნავია მ. კრივონოსოვის წარმატება, რომელმაც ურო 64 მეტრსა და 34 სანტიმეტრზე ტყორცნა და ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა. გ. ვინოგრადოვამ დამყარა სიგრძეზე ხტომაში ევროპის ახალი რეკორდი, რომელიც 6 მეტრსა და 27 სანტიმეტრს უდრის. მ. ლავროვმა სპორტული სიარულით 50 კილომეტრი 4 საათში, 16 წუთსა და 51,2 წამში გაიარა. ეს ახალი მსოფლიო მიღწევაა. წარმატებით აღინიშნა აგრეთვე საბჭოთა მძლეოსნების ვ. ოკოროკოვის, ლ. შჩერბაკოვისა და სხვათა გამოსვლები.

საბჭოთა მძლეოსნებთან ერთად მაღალი სპორტული მაჩვენებლები მოიპოვეს პოლონეთის, უნგრეთისა და ავსტრალიის მძლეოსნებმა.

თავისუფალ ჭიდაობაში საბჭოთა სპორტსმენებს გადაეცა 4 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი.

საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში

მოსკოვი. 12 აგვისტო. დღეს დედაქალაქის „დინამოს“ ცენტრალური სტადიონი სავსე იყო სპორტის მოყვარულებით. აქ შედგა მორიგი საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ ინგლისის გასული წლის ჩემპიონი „ეკულერჰემპტონ უონდერერსი“ და მოსკოვის „დინამო“. მატჩი მოიგეს დინამოელებმა ანგარიშით 3:2.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

კიევი. 12 აგვისტო. აქ შედგა „ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ ლენინგრადის „ზენიტი რეზერვებისა“ და კიევის „დინამოს“ გუნდები. მატჩი დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით 3:2.

ლენინგრადი. 12 აგვისტო. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა XVII ჩემპიონატის მორიგი მატჩი ლენინგრადის „ზენიტისა“ და მინსკის „სპარტაკის“ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა 2:0.

რესპუბლიკური ჩემპიონატი წყალბურთში

მიმდინარე სასპორტო სეზონში რესპუბლიკური პირველობის გათამაშება წყალბურთში გაიმართა თბილისში. შეჯიბრება 5 დღეს გრძელდებოდა ფიზკულტურის სასლის საცურავ აუზში. ჩემპიონობის მოსაპოვებლად იბრძოდა წყალბურთელთა ხუთი კოლექტივი.

ძლიერად ჩაატარა მატჩები თბილისის „დინამოს“ გუნდმა, რომელმაც მორიგი ყველა შეხვედრა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა „ნორჩი დინამოელის“ წყალბურთელთა კოლექტივი, მესამეზე — ბათუმის „პიშჩევიკის“ გუნდი.

შედგენილია საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც შეკრების გავლის შემდეგ მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის პირველობის გათამაშებაში. ეს შეჯიბრება გაიმართება თბილისში 16-დან 26 სექტემბრამდე.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

მონადირეთა საყურადღებოდ

მიმდინარე 1955 წლის სამონადირო სეზონში ნადირობა ნებადართულია ქვემოთ ჩამოთვლილ, შემდეგი სახის ძვირფას ნადირსა და ფრინველზე.

15 აგვისტოდან 15 თებერვლამდე

წყეარზე, ბატზე, იხვზე, სარსარაკზე, სავათზე, ყველა წინტალზე (ტყის ქათამი, გოჭა, ჩიბუხა, კრონშნეპი და სხვ.); ყველა მტრედისებრ ფრინველზე (ქედანი, კლინტები, ვეიანი, მტრედი, გვრიტი); წყლის ყველა ფრინველზე, ყველა ლაინისებრ ფრინველზე (მელოტა, ღალღა, ჭაობის ქათამი და სხვ.); აგრეთვე იმ ფრინველზე და ნადირებზე, რომლებიც ცალკე არ არიან დასახელებული.

ცალკეა გამოყოფილი ნადირობის ვადები შემდეგი სახის ნადირსა და ფრინველზე:

კაკაბზე — 1 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე.
ღორზე და კურდღელზე — 1 ოქტომბრიდან 31 იანვრამდე.
როჭოსა და შურთხზე — 15 აგვისტოდან 1 დეკემბრამდე.
წავზე, მა